აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

01.09.2014 – 27.08.2015

2015 წელი

ბაქვი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

(01.09.2014-27.08.2015)

კომისიის შემადგენლობა

კომისიის თავმჯდომარე - მედეა ვასაძე

კომისიის წევრები:

ირაკლი ჯაში
აკაკი ძნელაძე
ასმათ დიასამიძე
პეტრე ზამბახიძე
თემურ ბოლქვაძე

კომისიის აპარატის თანამშრომლები

კომისიის აპარატის უფროსი - ლიანა ვაჩეიშვილი

კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე - თამარ წილოსანი

მთავარი სპეციალისტი -

წამყვანი სპეციალისტი - ირაკლი აბაშიძე

უფროსი სპეციალისტი - თამაზ ქობულაძე

საქართველო, ქობულეთის მუნიციპალიტეტი
ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. 25
ტელ: 032 (2) 285478/76

I. საკანონმდებლო საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში გაიმართა კომისიის 16 სხდომა, რომელზეც განხილულია 9 კანონის, 4 დადგენილების, 3 რეგლამენტის პროექტები. მოსმენილია და ცნობადაა მიღებული 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების ანგარიში, 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში; აჭარის ა.რ. 2015-2018 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი; 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების ანგარიში; აჭარის ა.რ. მთავრობის ინფორმაცია - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების 2016-2019 წწ. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შესახებ.

მომზადებულია 21 დასკვნა.

საკანონმდებლო ინიციატივა:

1. მოცემულ პერიოდში კომისიას ჰქონდა საკანონმდებლო ინიციატივა - „აჭარის არ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ინიციატორი კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე.

2. საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიასთან ერთად მომზადებული იქნა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს ტერმინის „ინვალიდის“ შეცვლას ტერმინით „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი“. საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მოიცავს შემდეგ კანონებს: საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“. (მუხლი 3, 15, 22, 25), „ტყის ფონდის მართვის შესახებ“. (მუხლი 19, 20), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (მუხლი 44, 47), „საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ (მუხლი 10, 11, 13), „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ (მუხლი 14, 15, 17), საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (მუხლი 1343, 1359), „საჯარო სამსახურის შესახებ“ (1, 49, 100), საქართველოს საჰაერო კოდექსი (მუხლი 76), საქართველოს საგადასახადო კოდექსი (მუხლი 10, 11, 82, 206), „საქიმიო საქმიანობის შესახებ“ (მუხლი 45), „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ (მუხლი 2), „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ (მუხლი 14^4, 15^5), „პაციენტის უფლებების შესახებ“ (მუხლი 12, 24), „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ (მუხლი 17), „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ (მუხლი 10, 11), „ნოტარიატის შესახებ“ (მუხლი 43), „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ (მუხლი 22, 23), საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (მუხლი 32), „ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის“ შესახებ (მუხლი 2, 5), „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ (მუხლი 5), „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ (მუხლი 25), „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ (მუხლი5).

3. ასევე, მზადდება ცვლილების ინიცირება საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-60-ე მუხლის „ბ“ პუნქტში, რომელიც ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის და მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი უმაღლესი საბჭოს წევრისთვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შესვლის უფლების მინიჭებას; „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტში მზადდება ცვლილების ინიცირება, რომლის მიხედვითაც წარმომადგენლობითი ორგანოების რიცხვს დაემატება აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები; სისხლის სამართლის კოდექსში მზადდება 144^4 მუხლის დამატების ინიცირება, რომელიც ეხება ადამიანის იძულებით გაუჩინარებას, ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებები, რათა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დავისას,

მოქალაქის მიერ სახელმწიფო ბაჟის წინასწარ გადაუხდელობა, არ იყოს საჩივრის წარმოებაში მიღების დამაბრკოლებელი გარემოება.

II. კორესპონდენციების რაოდენობა

შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა (საქართველოს პარლამენტიდან, უმაღლესი საბჭოდან, აჭარის მთავრობიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, სხვადასხვა უწყებიდან და მოქალაქეებიდან) - 717

გასული კორესპონდენციის რაოდენობა - 601

III. მოქალაქეთა განცხადებები სტატისტიკა და თემატიკა

კომისიაში შემოსულია მოქალაქეთა 357 განცხადება

მოქალაქეთა განცხადებების თემატიკა და რაოდენობა 2014 წლის 1 სექტემბრიდან 2015 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით

ს ა კ ი თ ხ ი	რაოდენობა
საცხოვრებლით უზრუნველყოფა	81
საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე შუამდგომლობის თხოვნა	2
ფულადი დახმარება სამედიცინო დანიშნულებით	7
სამართლიანობის აღდგენაში დახმარების თხოვნა	18
სასჯელისგან ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე შუამდგ. თხოვნა	16
საყოფაცხოვრებო დავა	12
სამსახურში აღდგენა	5
დახმარების დანიშნვა	9
პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა	11
ციხის ადმინისტრაციისადმი პრეტენზია	20
ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობა	1
გამოძიების გაჭიანურება	6
სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურება	3
საყოფაცხოვრებო პრობლემები	30
უკანონო პატიმრობა	10
მიწის საკუთრება	14
საცხოვრებლიდან გამოსახლება	1
იპოთეკით შექმნილი პრობლემა	7
ქონებრივი უფლებების დარღვევა	7
თაღლითობა	3
პატიმარზე ფიზიკური ძალადობა	6
სტიპენდიის დანიშნვა	1
ობლიგაციის განაღდება	1

გარევაჭრობის მოწყობის ნებართვა	1
მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება	7
დასაქმება	20
დევნილის საცხოვრებლით უზრუნველყოფა	5
მატერიალური ზარალის ანაზღაურება	1
უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემაზე შუამდგ. თხოვნა	4
იაფი სესხის მიღებაზე შუამდგომლობის თხოვნა	5
სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი კანონდარღვევა	4
მოქალაქის უგზოუკვლოდ გაუჩინარება	1
თვითნებურად ჩასახლებულ მოქალაქეთა განცხადება	34
სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე შუამდგომლობა	3
პატიმრის უნდობლობა გამომძიებელ პროკურორის მიმართ	1

გადაგზავნილი განცხადებების ადრესატები და რაოდენობა 2014 წლის 1 სექტემბრიდან 2015 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით

შუამდგომლობის ადრესატი	რაოდენობა
აჭარის მთავრობის თავმჯდომარე	112
აჭარის პროკურატურა	26
აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო	11
სასჯელაღსრულების № 3 დაწესებულება	10
ბათუმის მერია	30
ქედის მუნიციპალიტეტი	1
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	6
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	13
აღსრულების ეროვნული ბიურო	5
კერძო ორგანიზაცია	14
საქართველოს პრემიერ-მინისტრი	1
აჭარის კულტურილი მემკვიდრეობის სააგენტო	1
შეწყალების კომისია	8
საქართველოს მთავარი პროკურატურა	11
საქართველოს პარლამენტი	3
საქართველოს ფოსტა	2
ბათუმის რეფერალური საავადმყოფო	1
აჭარის დასაქმების სააგენტო	5
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	1
ხულოს მუნიციპალიტეტი	2
ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	3
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	3
აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	9
სოციალური მომსახურების სააგენტო	5
შუახევის მუნიციპალიტეტი	1
საქართველოს სოლიდარობის ფონდი	3
საქართველოს პრეზიდენტი	8

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1
ბათუმის ავტოტრანსპორტი	1
აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტორო	1
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	1
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	4
მოქალაქეები	44
სულ:	**347**

რეაგირებულია 347-ივე ანუ გადაგზავნილია ქვემდებარეობის მიხედვით.
(კონტროლზე აყვანილი 126-დან პასუხი მიღებულია 121-ზე.)
დადებითადაა გადაწყვეტილი - 128
არგუმენტირებული უარია 89 -ზე
გადაწყვეტის პროცესშია - 119
პასუხს ველოდებით - 11

შესწავლის სტადიაშია 10 განცხადება.

ასევე, 2015 წლის თებერვლიდან საქართველოს მთავარი პროკურატურაში სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში, გადაგზავნილია - 11 განცხადება. მიმდინარეობს 2012 წლის 28 ოქტომბრიდან შემოსული ამ შინაარსის განცხადებების გადახედვა, შეფასება და მათთვის ამ მიმართულების მიცემა.

კომისიამ 247 შუამდგომლობით მიმართა სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოს თუ კერძო სამართლის იურიდიულ პირს (ორგანიზაციას).

IV. მოქალაქეთა მიღება

საანგარიშო პერიოდში კომისიის წევრები და აპარატის უფროსი უმაღლეს საბჭოში მოქალაქეთა მიღების ფარგლებში შეხვედნენ 311 მოქალაქეს

კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე - 159 - უმაღლესი საბჭოს შენობაში,
(მის გარეთ - 198)
კომისიის აპარატის უფროსი ლ. ვაჩეიშვილი - 80
კომისიის წევრები :
ირაკლი ჯაში - 33
აკაკი ძნელაძე - 17
პეტრე ზამბახიძე - 20
თემურ ბოლქვაძე - 2

V. კომისიისა და კომისიის თავმჯდომარის ღონისძიებები

1. 2014 წლის 10-11 ოქტომბერს, კომისიის თავმჯდომარემ მედეა ვასაძემ, საფრანგეთში ერთი ვიზიტის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო ორ ღონისძიებაში. კერძოდ, ევროპის რეგიონთა ასამბლეისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „R20 - რეგიონები და კლიმატის ცვლილები"- ს მიწვევით, პარიზში გამართულ კლიმატური ცვლილებების

შესახებ მსოფლიო სამიტში და სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის რიგით 27-ე სხდომაში.
სამიტი იყო წარმომადგენობითი, რომელშიც მონაწილეობდნენ რეგიონები, ქალაქები, ორგანიზაციები, მსხვილი კომპანიები, მსხვილი ინვესტორები, სამეცნიერო წრეები და ექსპერტები. მასში მონაწილეობდა მასპინძელი ქვეყნის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარიზის მერი, ევროპის რეგიონთა ასამბლეის თავმჯდომარე და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „R20 - რეგიონები და კლიმატის ცვლილები"-ს დამფუძნებელი არნოლდ შვარცნეგერი.

სამიტის სხდომებზე მიღებული გამოცდილება და ინფორმაცია მნიშვნელოვანია ჩვენს რეგიონში კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული პრობლემების თვალსაზრისით და ამ კუთხით, საინვესტიციო პროექტების განხორციელებაზე, სამომავლო მოლაპარაკებებში ჩართულობისათვის.

2. რაც შეეხება კონგრესში მონაწილეობას, კომისიის თავმჯდომარე დაესწრო სხდომას, სადაც მთავარ სადისკუსიო თემად განხილებოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სამოქალაქო უფლებები და ადგილობრივ რეგიონულ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მათი მონაწილეობის საკითხი. ასევე, განიხილებოდა სამოქალაქო პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობის გაძლიერების საკითხი.

სესიაზე კონგრესმა მიიღო ცხრაპუნქტიანი დეკლარაცია, რომლშიც, სხვა ქვეყნებთან ერთად, მოხსენიებულია საქართველო, რომლის მიმართაც დადგენილად არის მიჩნეული, რუსეთის მხრიდან, საერთაშორისო სამართლით აღიარებული ნორმების, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, აღიარებული საზღვრების ხელშეუვალობის, ხელყოფის ფაქტები. იგივე საკითხებზე მნიშვნელოვანი განაცხადია გაკეთებული უკრაინასთან, აზერბაიჯანთან და მოლდოვასთან მიმართებაში. სესიაზე ასევე მოსმენილი იქნა ანგარიშები ადგილობრივ არჩევნებზე დაკვირვების შესახებ, რომელშიც, საქართველოში, 2015 წლის 15 ივნისის არჩევნები, გარკვეული შენიშვნებით, კონგრესის მიერ დადებითად იქნა შეფასებული.

3. კონგრესში ვიზიტის ფარგლებში კომისიის თავმჯდომარე შეხვდა რეგიონთა პალატის სამდივნოს წარმომადგენლებს, რომლებთანაც, მისი ინიციატივით, დაიწყო მოლაპარაკებები 2015 წლის მარტის სესიის ფარგლებში, კონგრესში აჭარის რეგიონის წარდგენის/პრეზენტაციის/ მოწყობაზე, რაც მიზნად ისახავდა საქართველოსა და კონკრეტულად, აჭარის რეგიონის პოპულარიზაციას კულტურისა და ტურისტული შესაძლებლობების შეთავაზებით, აჭარის რეგიონის ევროპულ რეგიონებთან სამომავლო დაახლოებას, აჭარაში კონგრესის ღონისძიებების (სხდომების, კონფერენციების, სემინარების) გამართვას, ინვესტიციების რეალური შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობას.

აღნიშნული მოლაპარაკებების შემდეგ, 2014 წლის 14 ნოემბერს, უმაღლესმა საბჭომ, ოფიციალური წერილით (09-02-16/870) მიმართა კონგრესს, რომლის საფუძველზეც წინადადება განხილულ იქნა 2014 წლის 1 დეკემბრის ბიუროს სხდომაზე, და რომლის გადაწყვეტილებითაც კონგრესის 2015 წლის 28-ე სესიის დღის წესრიგში შევიდა საკითხი - აჭარის რეგიონის პრეზენტაციის შესახებ (რეგიონის ინაუგურაცია - კულტურით, ფოლკლორით, ტურისტული სტენდებით, აჭარული სამზარეულოთი და ღვინოთი).

საყურადღებოა, რომ კონგრესში, აღნიშნული ღონისძიების ჩატარება, ოფიციალურ დონეზე, განახორციელა უმაღლესმა საბჭომ (ტექნიკური უზრუნველოფა - ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის აპარატი), თუმცა მისი პრაქტიკული შესრულების შესაძლებლობა ღონისძიების ინიციატორს არ მიეცა, რა მიზეზითაც ღონისძიება ვერ აღმოჩნდა პრეზენტაბელური, რადგან პროგრამიდან, გაურკვეველი მიზეზით, ამოღებული იქნა ზოგიერთი კომპონენტი, ხოლო ნაწილი დარჩა გაუთვალისწინებელი.

4. 31 ოქტომბერს, კომისიის თავმჯდომარე მონაწილეობდა ბათუმში, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდის „სოხუმის“ მიერ გამართულ ღონისძიებაში - „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“.

5. 14 ნოემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის აპარატის თანამშრომლებმა ბათუმის მე-6 საჯარო სკოლაში არსებული ინკლუზიური და ინტეგრირებული სწავლების ჯგუფის მოსწავლეთა ნახატებისა და ხელნკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა დაათვალიერეს.
გამოფენის ფარგლებში მედეა ვასაძე შეხვდა პედაგოგებსა და მოსწავლეებს. ადგილზე გაეცნო მათი სწავლების პირობებს და მოისმინა პრობლემები. დადებითად შეფასდა ის, რომ ადგილზე შექმნილია სამი სპეც ჯგუფი, რომელშიც 40 მოსწავლე ირიცხება, მათგან 8 კი უკვე ინტეგრირებულია და სწავლებას გადიან ზოგადი განათლების შესაბამის საფეხურებზე. შეხვედრისას აღინიშნა ის, რომ ადაპტირებული მიკრო ავტობუსი, რომელიც მოსწავლეებს ემსახურება, საჭიროებს ტექნიკურ გამართულობას, ხოლო ხელოვნების მასწავლებლები, მხოლოდ ენთუზიაზმით, არ უნდა მუშაობდნენ.

შეხვედრის ბოლოს კომისიის თავმჯდომარემ და აპარატის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ინკლუზიური და ინტეგრირებული სწავლების ჯგუფის მოსწავლეების მიერ მადლობის ნიშნად გამართულ წარმოდგენაში.

6. 24 ნოემბერს, კომისიის თავმჯდომარემ მედეა ვასაძემ სასჯელაღსრულების № 3 დაწესებულებაში 70-მდე, მათ შორის მოშიმშილე პატიმრები მოინახულა და დაათვალიერა ე.წ. კარცერი, რომლის შემდეგაც სპეციალური განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ ადგილი აქვს პატიმართა მიმართ ძალადობის ფაქტებს, ფიზიკურ შეურაცხყოფასა და ფსიქოლოგიურ ზეწოლას. მისი ინფორმაციით, იმ დროისათვის, დაწესებულების 22 პატიმარი აგრძელებდა შიმშილობას, თვითდაზიანების ფაქტი აღენიშნებოდა 15 პატიმარს, პატიმრები ჩიოდნენ არაადამიანურ მოპყრობაზე, ასევე მათ მიმართ განხორციელებულ წამებაზე და აღნიშნავდნენ, რომ მოგონილი იყო დაწესებულებაში, მათი მხრიდან, იმ მდგომარეობის აღდგენის მცდელობა, როცა ვითარებას მართავდა ე.წ. „მაყურებელი“ და დასძენდნენ; რომ ეს იყო შეთითხნილი თემა, რათა გადაფარულიყო რეალური პრობლემები და მათზე განხორციელებული ძალადობა.

7. 27 ნოემბერს, კომისიის თავმჯდომარემ წერილობით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, გამოძიების დაწყების თხოვნით, #3 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმართა მიმართ ჩადენილი შესაძლო დანაშაულის დასადგენად.

8. 28 ნოემბერს, მედეა ვასაძე უმაღლესი საბჭოს სხვა წევრებთან ერთად უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა ჯგუფს შეხვდა. ვეტერანებმა პენსიებთან დაკავშირებულ პრობლემებზე ისაუბრეს და დეპუტატებს შესაბამისი ინიციატივის მომზადების თხოვნით მიმართეს.

9. 28 ნოემბერს, კომისიის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში, სადაც პანდემიურ დაავადებებზე იმსჯელეს. საუბარი შეეხო ამ ტიპის დაავადებებთან დაკავშირებულ რისკებსა და თავის დაცვის საშუალებებს.

კონფერენციის მიზანი იყო მოზარდებისა და საზოგადოების ინფორმირება დაავადებებზე და თავის დაცვის საშუალებებზე.

მედეა ვასაძემ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ კონვენციაში ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა ერთ-ერთი მთავარი პუნქტია და რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რათა ამ საკითხებზე, კომპეტენტური დაწესებულებები, პასუხობდნენ ყველა იმ გამოწვევას, რომელიც ეხება ქვეყანაში ჯანმრთელობის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობას, ასევე მიუთითითა სემინარის მნიშვნელობაზე და იმაზე თუ რამდენად აუცილებელი და საჭიროა

34

მოსწავლეთა ინფორმირება და მათი ჩართულობა დაავადებათა პრევენციისა და თავიდან აცილების უზრუნველსაყოფის საკითხებში.

კონფერენცია ორგანიზებული იყო აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და განათლებისა და კულტურის სამინისტროების, ასევე ბათუმისა და ხელვაჩაურის განათლების რესურსცენტრების მიერ.

10. 29 ნოემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე კვლავ აგრძელებს #3 სასჯელაღსრულების დაწესებულების მონახულებას, რომლის დროსაც ხვდება 30-მდე, მათ შორის სამედიცინო ნაწილში და განმარტოებით საკანში განთავსებულ პატიმრებს. შეხვედრის დასრულებისას კომისიის თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, რომ დაწესებულებაში სუფევდა სიმშვიდეა, რომ პატიმრები უფრო იმედიანად გამოიყურებოდნენ, რომ ადმინისტრაციის მხრიდან რიგი მოთხოვნები იყო დაკმაყოფილებული, რომ არცერთი პატიმარი აღარ შიმშილობდა და ე.წ. „კარცერიც" იყო თავისუფალი.

11. 18 დეკემბერს, კომისიის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციის „სოროპტიმისტ ინტერნაციონალის", აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის და კლუბ „ბათუმის" მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში -„ქართველთა და აფხაზთა მეორე ფორუმი".

12. 2015 წლის 5 იანვარს, კომისიის თავმჯდომარე შეხვდა 2015 წლის 1 იანვრიდან დათხოვნილ, ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ადმინისტრაციულ შენობასთან სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნით შეკრებილ თანამშრომლებს.
მედეა ვასაძემ ადგილზე მისვლით მოისმინა მათი პრობლემები და საკითხის გადასაწყვეტად შეხვდა ბათუმის საზღვაო ნავსადგურის უფროსს, რომლის განმარტებით თანამშრომელთა გათავისუფლების საფუძვლად ტვირთბრუნვის შემცირება დასახელდა.
ადმიანისტრაციასა და დათხოვნილ თანამშრომლებს შორის, კომისიის ჩართულობით, გაფორმდა მემორანდუმი, რომლის თანახმადაც, პორტის ადმინისტრაციამ აიღო ვალდებულება, რომ ნავსადგურის მიერ, დამატებითი მოცულობის ახალი ტვირთის მოზიდვის შემთხვევაში პორტის თანამშრომლები, ე.წ. „დოკერები" დაუბრუნდებოდნენ სამუშაო ადგილებს, მოცდენის პერიოდში კი უზრუნველყოფილნი იქნებოდნენ 200 ლარიანი ყოველთვიური კომპესაციით და სამედიცინო დაზღვევის შენარჩუნებით.

აღნიშნულ საკითხზე კომისიის თავმჯდომარე მოლაპარაკებებს აწარმოებდა აჭარის პროფკავშირების წარმომადგენლებთან, ასევე სამსახურიდან გათავისუფლებული ბათუმის ნავსადგურის თანამშრომლებთან და ადმინისტრაციასთან, როგორც ადგილზე, ასევე უმაღლესი საბჭოს შენობაში მანამ, სანამ საკითხი დადებითად არ იქნა გადაწყვეტილი.

13. 19 აპრილს, უმაღლესი საბჭოს წევრებმა მედეა ვასაძემ და ჯემალ ფუტკარაძემ, პრობლემების ადგილზე გასაცნობად, ხულოში, სასამართლოს ყოფილ შენობაში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახები მოინახულეს.

შეხვედრისას ადგილობრივები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას ამ შენობის უკიდურესად ავარიული მდგომარეობის გამო, რომელშიც ცხოვრება გარკვეულ საფრთხესთანაცაა დაკავშირებული. საყურადღებოა, რომ შენობაში, თავის დროზე, ფუნქციონირებდა რაიონული სასამართლო, მისი სხვა შენობაში გადატანის შემდგომ კი, აქ, შესახლებული იქნენ სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახები, რომლებმაც, იმ დროს, სხვადასხვა საშუალებებით, მოახერხეს შენობაში დაკავებული ფართების პრივატიზება, შენობა, თითქმის, დეფორმირებულია, არ უვარგა ჭერი, კედლები, არ არსებობს წყალგაყვანილობა და სანიტარული კვანძები. შეხვედრაზე აღმოჩნდა, რომ ამ შენობაში, აშკარა გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არაერთი ადამიანი

ცხოვრობს, რომელთათვის კიდევ უფრო გაუსაძლისია იქ არსებული პირობები. „ის, რომ ეს შენობა, ამ დროისათვის, კერძო საკუთრებაა, არ იძლევა ამ პრობლემებისაგან თავის არიდების საფუძველს, რადგან უნდა გვახსოვდეს, რომ მასში სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი ოჯახები არიან განთავსებულნი და ამ პირობებში მათი დატოვებით, შეიძლება ითქვას, რომ თითოეულ მათგანს, გარკვეული საფრთხის ქვეშ, ვტოვებთ.“ - განაცხადა მედეა ვასაძემ შეხვედრის დასრულებისას.

უმაღლესი საბჭოს წევრებმა საკითხის გადაწყვეტილებისათვის ერთობლივად მიმართეს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და ადგილობრივ თვითმმართველობას.

14. 19 აპრილს, კომისიის თავმჯდომარემ მედეა ვასაძემ და უმაღლესი საბჭოს წევრმა ჯემალ ფუტკარაძემ, ხულოს რაიონის სოფელ ღურტაში, ჰესის მშენებლობაზე დაღუპული ახალგაზრდის, პაატა იაკობაძის, ოჯახს ადგილზე მისვლით მიუსამძიმრეს და დაკრძალვას დაესწრნენ. ამასთან, შეხვდნენ სამშენებლო კომპანიის მენეჯმენტს და იმსჯელეს ამ მძიმე შემთხვევის გამომწვევ მიზეზებზე.
„გამოვხატავ შეშფოთებას ტრაგედიის გამო, რომელიც ტექნიკის გაუმართაობის და შრომის უსაფრთხოების წესების უხეში დაუცველობის შედეგია, სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი. შრომა, როგორც საარსებო წყარო, არ შეძლება სიცოცხლის ასეთი მაღალი რისკის ფასად ხორციელდებოდეს. ჩვენ გვქონია ამ შინაარსის საკითხებზე, კომისიაში მსჯელობა და სამწუხაროდ, ამ მიმართებით, ჩვენს მოთხოვნებში, გამოგვიჩენია სიფრთხილე იმ მიზეზით, რომ იგი არ შეფასებულიყო როგორც კერძო, ინვესტორი კომპანიების, ამ შემთხვევაში „აჭარისწყალი ჯორჯიას“ საქმიანობაში ჩარევად, რაც ძირშივე არასწორი მიდგომაა, მოვუწოდებ სამართალდამცავ ორგანოებს ფაქტის მიუკერძოებლად და ობიექტურად გამოძიებისაკენ, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და კომპანიას დაზარალებული ოჯახებისადმი ყურადღებისაკენ, რადგან ზემომთიანი აჭარის განვითარებისათვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი პროექტი, ამ დაუდევრობის შედეგად, მათ ყოფაში და ცნობიერებაში არის და დარჩება დიდი ადამიანური ტრაგედიის მიზეზად“ - განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ.

15. 30 აპრილს, კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გამართულ არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ინსტიტუტის“ პროექტის შუალედური შედეგების პრეზენტაციაზე, სადაც ყოფილი პატიმრების, პრობაციონერების, მათი ოჯახის წევრების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა და რომელსაც ესწრებოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, მთავრობის, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის, არასამთავრობო სექტორის, პოლიტიკური პარტიების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, ბიზნესწრეებისა და მედიის წარმომადგენლები.
ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „ყოფილი პატიმრების, პრობაციონერებისა და პატიმრის ოჯახის წევრების მხარდაჭერის პროგრამა“ 2013 წლის ნოემბრიდან ხორციელდება აჭარასა და სამეგრელო-ზემოსვანეთში და მისი მიზანი ამ ადამიანების იურიდიული დახმარება, პროფესიული უნარების გაძლიერება, განათლების, დასაქმების ხელშეწყობა და საოჯახო ბიზნესის (მცირე საწარმოების) ჩამოყალიბება-განვითარებაა. გამოფენა-გაყიდვაზე გამოტანილი იყო 145 ნამუშევარი, მათ შორის ხელნაკეთი ხატები, სამკაულები, სუვენირები, სხვადასხვა ნაკეთობა, ასევე, პროექტის ფარგლებში, დაფინანსებული „საოჯახო საწარმოების“ ნაწარმი. აქვე იყო ფოტოგამოფენაც, რომელიც „დემოკრატიის ინსტიტუტის“ მიერ წლების განმავლობაში რეალიზებულ აქტივობებს ასახავდა.
გამოფენაზე კომისიის თავმჯდომარემ ყოფილ პატიმართა მხარდასაჭერად პირადად შეიძინა მათ მიერ შესრულებული (350 ლარის ღირებულების) ხელნაკეთი ნივთები.

16. 3 მაისს, ბათუმში დროებით მყოფმა უკრაინის რესპუბლიკის ხუთმა მოქალაქემ, უფლებების დარღვევის გამო, კომისიის თავმჯდომარესთან შეხვედრა მოითხოვა. როგორც განმცხადებლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, ბათუმში, სამუშაოდ, მცირე ბიზნეს წინადადებით ჩამოვიდნენ. გარკვეული პერიოდით, მათი ნდობით ისარგებლა ჩვენი რეგიონის მკვიდრმა, მოქალაქე ჯ. მ.-მ, რომელმაც, სავარაუდოდ, ერთ-ერთი მათგანის პლასტიკური ბარათის მეშვეობით, გამოიტანა და მიითვისა ათი ათასი ამერიკული დოლარი, ხოლო შემდეგ მიიმალა, რითაც უკრაინელი მოქალაქეები დატოვა საცხოვრებლისა და არსებობისათვის აუცილებელი სახსრების გარეშე.
კომისიის თავმჯდომარის განცხადებით ისინი, სავარაუდოდ, უნდა იყვნენ თაღლითობის მსხვერპლნი და ფაქტის სამართლებრივი შეფასებისათვის წერილობით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურას, მთავრობას კი თხოვნით, რათა ამ ადამიანებისათვის შეექმნათ მინიმალური საარსებო პირობები და სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა.
მთავრობის აპარატმა, აღნიშნული მიმართვის საფუძველზე, გაატარა შესაბამისი ღონისძიებები.

17. 5 მაისს, კომისიის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო (უმაღლეს საბჭოში) კორპორაცია „ევექსის" წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრებთან ერთად კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილეს და აჭარის რეგიონალურ მენეჯერს უმაღლესი საბჭოს წევრებმა საკმაოდ მწვავე შეკითხვებით მიმართეს.
შუახევის ინციდენტი, რასაც 25 წლის ახალგაზრდის გარდაცვალება მოჰყვა, „ევექსის" მიერ, ბოლო დროს, სამედიცინო სერვისზე მიღებული არასწორი გადაწყვეტილების შედეგია - აღინიშნა შეხვედრაზე. ეს მაშინ, როცა „ევექსის" უმთავრესი მიზანი სამედიცინო მომსახურების უსაფრთხო სისტემების განვითარებაა.

ანალოგიურ გამოწვევის თავიდან აცილების მიზნით კანონმდებლებმა სტუმრებს საკანონმდებლო კუთხით თანამშრომლობა შესთავაზა. აღინიშნა, რომ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების დროულ ინფორმირებულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამგვარი სავალალო ფაქტების თავიდან ასაცილებლად, რისთვისაც მიზანშეწონილად ჩაითვალა მუშაობის გააქტიურების აუცილებლობა.

18. 8 მაისს, კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე ბათუმის №3 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ინდივიდუალურად 15-მდე პატიმარს შეხვდა, მათ შორის იყო 7 პატიმარი, რომელთაც თვითდაზიანებები ჰქონდათ მიყენებული. აღნიშნული შეხვედრა 3 საათს, გვიან ღამემდე, გაგრძელდა.
პატიმრების განმარტებით პროტესტის უკიდურესი ფორმა გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ დაწესებულებაში კვლავ მუშაობენ თანამშრომლები, რომლებიც შემჩნეულები იყვნენ „პატიმართა მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში, თვითდაზიანებულ პატიმრებზე გაწეული იყო სამედიცინო დახმარება, თუმცა სათანადო სამედიცინო მომსახურება კვლავ რჩება დაწესებულების პრობლემად" - განაცხადა მედეა ვასაძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ და დასძინა, რომ „პრეტენზიები არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით წინა პერიოდთან შედარებით, ბევრად ნაკლებია".

შესაბამისი რეაგირებისათვის, კომისიის თავმჯდომარის წერილობითი მიმართვები გაგზავნილი იქნა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრთან (15.05.2015 09-02-12კოლ/165), სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსთან (25.05.2015; 09-02-16-358) და დაწესებულების დირექტორთან (13.05. 2013; 09-02-16/319).

4 ივლისს, აჭარის ტელევიზიამ გააშუქა ბათუმის #3 სასჯელარსრულების დაწესებულებაში, მინისტრისა და სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მიერ დაწესებულების, სამედიცინო პუნქტის მონიტორინგი. ასევე, სასჯელაღსრულებისა და

პრობაციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა ინფორმაცია, სამინისტროს მხრიდან, ამ პრობლემების აღმოფხვრისათვის გასატარებელ კონკრეტულ ღონისძიებებზე.

19. 27-30 მაისს, კომისიის თავმჯდომარემ ევროპის საბჭოს კონგრესის მიწვევით, მონაწილეობა მიიღო ქალაქ გრაცში (ავსტრიის რესპუბლიკა) გამართულ საერთაშორისო ფორუმში, სახელწოდებით - „ადამიანის უფლებები".

ფორუმი ინიცირებული იყო ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის მიერ, ევროპის საბჭოს კონგრესის, შტირიას (ავსტრია) რეგიონის მთავრობის, ქალაქ გრაცის მუნიციპალიტეტისა და ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის შემსწავლელი კვლევითი ევროპული ცენტრის ორგანიზებით. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი, კონგრესის თავმჯდომარე, გენერალური მდივანი, წევრი სახელმწიფოების ადამიანის უფლებებზე მომუშავე ადგილობრივ-რეგიონული წარმომადგენლები, პოლიტიკური თანამდებობის პირები, ექსპერტები და სპეციალისტები. ფორუმის მიზანს ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე არჩეული პირებისათვის ადამიანის უფლებების გარანტიის საუკეთესო პრაქტიკის წარმოჩენა და კონსტრუქციული მხარდაჭერა წარმოადგენდა. ამდენად, ფორუმი მიეძღვნა მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საქმიანობას ადამიანის უფლებათა ჭრილში. ასევე, განხილული იქნა სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერების საკითხები, როგორც რადიკალიზაციის პრევენციისა და დაძლევის საშუალებები და ადამიანის უფლებების მდგომარეობის საკითხები მრავალეთნიკურ საზოგადოებაში, ბოსნია და ჰერცეგოვინას გამოცდილების მიხედვით. ადამიანის უფლებების განხორციელების საუკეთესო მაგალითები წარმოდგენილი იყო ნიდერლანდებისა და შვედეთის სამეფოს გამოცდილების მიხედვით. საქართველო, გამოსვლებში, მოხსენიებული აღმოჩნდა საკუთრების უფლების ხელყოფის, ჯერ კიდევ, არსებული პრობლემების კუთხით.

კონგრესში მისი საქმიანობის ანალიზისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ, ფორუმზე, მოხსენებით გამოვიდა ადამიანის უფლებათა კომისარი.

ადამიანის უფლებებზე და ფუნდამენტურ თავისუფლებებზე დაფუძნებული მმართველობის ხელშესაწყობად, ფორუმზე ევროპის საბჭომ მიიღო შვიდპუნქტიანი დეკლარაცია, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ყველა მონაწილის გამოცდილების, შეხედულებისა და შემუშავებულ სტრატეგიაზე დაყრდნობით.

20. 28 მაისს, კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე ავსტრიის რესპუბლიკაში, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში შეხვდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს ნილს მუიჟნიეკს. კომისართან შეხვედრა ატარებდა გაცნობით ხასიათს, რომლის დროსაც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ევროპის საბჭო წარმოადგენს ადამიანის უფლებათა წამყვან ორგანიზაციას ევროპის კონტინენტზე, ადამიანის უფლებების ეფექტურ განხორციელებას კი ადამიანის უფლებათა კომისრის ბიურო უზრუნველყოფს. ამდენად, შეხვედრა იყო საინტერესო. „დემოკრატია ვერ იქნება იქ, სადაც ადამიანის უფლებების დაცვაში არსებობს პრობლემები. უფლებების დაცვა ადგილობრივ-რეგიონული დონიდან იწყება, რაშიც ჩვენს რეგიონს აუცილებლად სჭირდება დახმარება, ევროპული გამოცდილება, კარგი პრაქტიკა და მაგალითები, მით უფრო, რომ წლების მანძილზე აჭარა საკმაოდ პრობლემატურ რეგიონად ითვლებოდა ადამიანის უფლებების კუთხით" - განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ. ამ თვალსაზრისით, ადამიანის უფლებათა ევროკომისარს, რომლის საქმიანობის მიზანი და დანიშნულება - ადამიანის უფლებათა ეფექტური დაცვისა და სრულად სარგებლობის ხელშეწყობისთვის წევრ სახელმწიფოთა კანონებში ხარვეზების აღმოჩენაა, შესთავაზა სამუშაო ვიზიტით აჭარაში ჩამოსვლა. ევროკომისარმა მიიღო სიტყვიერი შეთავაზება აჭარაში, უმაღლეს საბჭოში, სტუმრობაზე, რომელიც, სავარაუდოდ, შემოდგომაზე გაიმართება. აღნიშნულზე, ოფიციალური წერილობითი მიმართვა კომისარს, კომისიის თავმჯდომარემ, 2015 წლის 14

ივლისს გაუგზავნა. ამჟამად, კომისიის აპარატი მუშაობს აჭარაში კომისრის ვიზიტის ორგანიზაციულ საკითხებზე.
21. 3 ივნისს, სელიმ ხიმშიაშვილის თავის კვეთის 200 წლისთავთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ სოფელ ნიგაზეულში სელიმ ხიმშიაშვილის საფლავი მოინახულა, შეხვდა ადგილობრივ მოსახლეობას და მოისმინა მათი პრობლემები. დაათვალიერა ადგილობრივი მუზეუმი და ხიმშიაშვილების ისტორიული ციხის ნანგრევები.
22. 30 ივნისს, კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით - პოლიტიკაში ქალის როლის გაძლიერებაზე, უმაღლესი საბჭოს წევრებმა და აპარატის თანამშრომლებმა ტრენინგი გაიარეს, რომელიც სააარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. შეხვედრაზე მსჯელობა გაიმართა გენდერული პოლიტიკის უზრუნველყოფის მექანიზმების, საჯარო გამოსვლის ხელოვნების, ეტიკეტისა და პროტოკოლის საკითხებზე. ტრენინგის მონაწილეებმა შეიმუშავეს გენდერული თანასწორობისათვის უზრუნველსაყოფელი პრიორიტეტები.
23. 20 ივლისს, კომისიის თავმჯდომარე ნიდერლანდების ინსტიტუტის - „მრავალპარტიული დემოკრატიისათვის" - მიწვევით, დაესწრო ბათუმის დემოკრატიის სკოლის პროგრამის პრეზენტაციას (სასტუმრო „რედისონ ბლუს" საკონფერენციო დარბაზში).
24. კომისიის თავმჯდომარე და აპარატი ივლისის თვეში შეხვდა ქალაქის ტერიტორიაზე, ბარაკულ დასახლებაში მცხოვრებ მოქალაქეებს, როლებთაც უკიდურესად არასახარბიელო პირობებში უწევთ ცხოვრება. კომისიის თავმჯდომარე იწონებს საქართველოს მთავრობის დადგენილებას, არასათანადო, არასტანდარტული საცხოვრისის ლიკვიდაციის სახელმწიფო პროგრამის შესახებ და მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ მხარეს ამ პროცესში ჩართულობისაკენ.
25. კომისიის თავმჯდომარე ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში, ინდივიდუალურ რეჟიმში, ხვდებოდა ქალაქის მოსახლეობას და ღებულობდა მონაწილეობას მათ მიერ დაყენებული საკითხების გადაწყვეტაში. დაფიქსირებულია 198 მოქალაქესთან

საანგარიშო პერიოდში კომისიის თავმჯდომარე ასევე მონაწილეობდა:

26. 25-ე ბატალიონის ტერიტორიაზე ე.წ. „ოცნების ქალაქში" თვითნებურად ჩასახლებული ოჯახების სოციალური სტატუსის, მათი რეალური ყოფითი პრობლემების დადგენისა და გადაწყვეტისათვის შემდგარ ღონისძიებებში.
27. მიწის ნაკვეთების დაკანონებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გონიოს ციხის მიმდებარედ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნების რეალიზებასთან დაკავშირებით ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებთან გამართულ სხვადასხვა საკონსულტაციო შეხვედრებში.
28. ადამიანის უფლებებთან და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ 18-მდე გასვლით შეხვედრაში და სხვადასხვა საკითხებზე მოწყობილ ბრიფინგებში.
29. წევრის სტატუსით საკონსტიტუციო, იურიდულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის მუშაობაში.

კომისიის თავმჯდომარე

მედეა ვასაძე